

პლენუმის შემადგენლობა:

გიორგი პაპუაშვილი – სხდომის თავმჯდომარე, მომხსენებელი მოსამართლე;
ქეთევან ერემაძე – წევრი;
კონსტანტინე ვარძელაშვილი – წევრი;
ზაზა თავაძე – წევრი;
მაია კოპალეიშვილი – წევრი;
ოთარ სიჭინავა – წევრი;
ლალი ფაფიაშვილი – წევრი;
თამაზ ცაბუტაშვილი – წევრი.

სხდომის მდივანი: დარეჯან ჩალიგავა.

საქმის დასახელება: საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე.

დავის საგანი: ა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობა, რომელიც გამორიცხავს სასამართლოს შესაძლებლობას, გასცდეს საკასაციო საჩივრის ფარგლებს იმ შემთხვევაში, როდესაც ქმედების ჩადენის შემდეგ მიღებული კანონი აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით.

ბ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობა, რომელიც გამორიცხავს სასამართლოს შესაძლებლობას, გასცდეს სააპელაციო საჩივრის ფარგლებს იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა ერთი და იმავე დანაშაულისთვის განმეორებით

მსჯავრდება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტთან მიმართებით.

I

აღწერილობითი ნაწილი

1. 2014 წლის 17 სექტემბერს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ (მოსამართლეები - მაია ოშხარელი, პაატა სილაგაძე და გიორგი შავლიაშვილი) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა ორი კონსტიტუციური წარდგინებით, რომლებიც დარეგისტრირდა 608 და 609 ნომრებით. №608 და №609 კონსტიტუციური წარდგინებების არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის განმწესრიგებელი სხდომა, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაიმართა 2014 წლის 24 დეკემბერს. საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის №3/6/609 და №3/5/608 საოქმო ჩანაწერებით კონსტიტუციური წარდგინებები მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

2. №608 და №609 კონსტიტუციურ წარდგინებებში საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის საფუძვლად მითითებულია: „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი.

3. №608 კონსტიტუციური წარდგინების თანახმად, სადავოა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის თანახმად, საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.“

4. №609 კონსტიტუციური წარდგინების თანახმად, დავის საგანს წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი. სადავო ნორმის თანახმად, სააპელაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. საქართველოს

კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, “არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისთვის”.

5. №608 კონსტიტუციური წარდგინების მიხედვით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2014 წლის 15 სექტემბერს შეაჩერა საქმისწარმოება მსჯავრდებულ ილია ჯაყელის საკასაციო საჩივართან დაკავშირებით. ილია ჯაყელი, როგორც განზრახ მძიმე დანაშაულისთვის ნასამართლევი პირი, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 18 დეკემბრის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 238¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისთვის. დანაშაულის ჩადენის მომენტისთვის მოქმედი რედაქციით, სისხლის სამართლის კოდექსის 238¹ მუხლის პირველი ნაწილი ადგენდა პასუხისმგებლობას ცივი იარაღის ტარებისთვის 21 წლის ასაკს მიუღწეველი, ან ნასამართლობის მქონე, ან ნარკოტიკების მოხმარებისთვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ; ხოლო მეორე ნაწილი კრძალავდა ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენას იმ პირის მიერ, რომელიც ნასამართლევი იყო განზრახი მძიმე დანაშაულისთვის.

6. სისხლის სამართლის კოდექსის 238¹ მუხლის პირველი ნაწილი 2013 წლის 11 დეკემბრის ცვლილების შედეგად ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომლის თანახმად, დანაშაულს წარმოადგენს ცივი იარაღის ტარებისთვის განმეორებით ადმინისტრაციულსახდელდადებული ან ნარკოტიკების მოხმარებისთვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ ცივი იარაღის ტარება. აღნიშნულ ცვლილებასთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2014 წლის 13 ივნისს გააკეთა მნიშვნელოვანი განმარტება. განმარტების თანახმად, რადგან 238¹ მუხლის პირველ ნაწილის შეცვლილი შემადგენლობა დანაშაულის სუბიექტად ასახელებს მხოლოდ ადმინისტრაციულსახდელდადებულ პირს, მეორე ნაწილი კი კრძალავს ნასამართლევი პირის მიერ პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენას, მეორე ნაწილის სუბიექტიც აუცილებლად ადმინისტრაციულსახდელდადებული პირი უნდა იყოს და ამ ელემენტის გარეშე პირს არ შეიძლება ბრალად შეერაცხოს 238¹ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული. ამგვარად, საკასაციო სასამართლოში ილია ჯაყელის საქმის განხილვის მომენტისთვის მოქმედი კანონის თანახმად, საქმეში არ იყო მისთვის ბრალად შერაცხული დანაშაულის აუცილებელი ელემენტი და, შესაბამისად, მისი მსჯავრდება მოკლებული იყო მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს. თუმცადა მსჯავრდებული საკასაციო საჩივრით ითხოვდა სასჯელის შემსუბუქებას და არა ქმედების ჩადენის შემდგომ მიღებული კანონის საფუძველზე პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას.

7. №609 კონსტიტუციურ წარდგინებაში მითითებულია, რომ 2014 წლის 15 სექტემბერს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ შეაჩერა საქმისწარმოება პროკურორის საკასაციო საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით ბექა ავაქიშვილის მსჯავრდების საქმეზე. რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 2 დეკემბრის განაჩენით, ბექა ავაქიშვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით განსაზღვრული დანაშაულისთვის, კერძოდ - ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებისთვის, ჩადენილი ასეთი ქმედებისთვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ და მიესაჯა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა. იმავედროულად, რუსთავის საქალაქო სასამართლომ 2013 წლის 5 ნოემბრის განაჩენით, ბექა ავაქიშვილი დამნაშავედ ცნო სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“ ქვეპუნქტებით და 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისთვის. 2013 წლის 2 დეკემბრის განაჩენი მსჯავრდებულმა გაასაჩივრა სასჯელის ნაწილში და მოითხოვა თავისუფლების აღკვეთის ჯარიმით შეცვლა, ასევე - განაჩენთა ერთობლიობის მიმართ სასჯელთა შთანთქმის პრინციპის გამოყენება. რუსთავის საქალაქო სასამართლოს ორივე განაჩენის შემთხვევაში მსჯავრდების საფუძველი გახდა 2012 წლის 26 დეკემბრის დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ერთი და იმავე სამართლებრივი საფუძველით პირის მიმართ ორი გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა წარმოადგენს ერთი და იმავე დანაშაულისთვის განმეორებით მსჯავრის დადებას. სააპელაციო სასამართლოს განაჩენში აღნიშნულია, რომ, მართალია, ის გასცდა საჩივრის მოთხოვნის ფარგლებს, მაგრამ მან ამით თავიდან აიცილა ერთი და იმავე დანაშაულისთვის განმეორებით მსჯავრდების კონსტიტუციური პრინციპის დარღვევა. აღნიშნული განაჩენი პროკურორმა საკასაციო წესით გაასაჩივრა და მოითხოვა გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა.

8. №608 და №609 კონსტიტუციური წარდგინების ავტორი მიიჩნევს, რომ სადავო ნორმებიდან გამომდინარე, სააპელაციო და საკასაციო სასამართლო ვალდებულია, საქმე განიხილოს და გადაწყვიტოს მხოლოდ სააპელაციო ან საკასაციო საჩივრის ფარგლებში და ამ პროცესში ისინი ვერ გასცდებიან შესაბამისი საჩივრის მოთხოვნის ფარგლებს. კონსტიტუციური წარდგინებების ავტორის მტკიცებით, სადავო ნორმები იმპერატიული ხასიათისაა და საქმის განმხილველ სასამართლოს არ უტოვებს შესაძლებლობას, საჩივრის განხილვისას მხედველობაში მიიღოს მნიშვნელოვანი სამართლებრივი ან საპროცესო დარღვევები. შესაბამისად, სადავო ნორმების საფუძველზე, სააპელაციო და საკასაციო სასამართლო ვერ გასცდება საჩივრის ფარგლებს ისეთ შემთხვევაშიც კი, როდესაც შესაძლებელია, მოხდეს

იმგვარი კონსტიტუციური პრინციპების დარღვევა, როგორც არის უდანაშაულო პირის მსჯავრდება ან პირის განმეორებით მსჯავრდება ერთი და იმავე დანაშაულის გამო.

9. №608 და №609 კონსტიტუციური წარდგინებების მიხედვით, სადავო ნორმები სისხლის სამართლის პროცესში შეჯიბრებითობის და თანასწორობის პრინციპებს განამტკიცებს. თუმცა მოქმედი რედაქციის პირობებში, აღნიშნული ნორმებიდან გადახვევის საგამონაკლისო შესაძლებლობის გარეშე, სადავო ნორმები იძენს არაკონსტიტუციურ შინაარსს და ვერ უზრუნველყოფს ბალანსს შეჯიბრებითობის პრინციპის რეალიზაციასა და ადამიანის (მსჯავრდებულის) ფუნდამენტურ უფლებებს შორის.

10. №608 კონსტიტუციური წარდგინების თანახმად, სადავო ნორმა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტს, რომლის თანახმადაც, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. კონსტიტუციური წარდგინების ავტორის მტკიცებით, ისეთ შემთხვევაში, როდესაც განსახილველ საქმეში არ იკვეთება ამგვარ მტკიცებულებათა ერთობლიობა, სასამართლო არ უნდა იყოს შეზღუდული მხოლოდ იმ საკითხებით, რომლებზეც მხარე აპელირებს, ვინაიდან გაუმართლებლად იზრდება უდანაშაულო პირის მსჯავრდების რისკი. სადავო ნორმა იმდენად მკაცრ ჩარჩოებს აწესებს, რომ მისგან გადახვევა წარმოუდგენელია იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მოსამართლე აღმოაჩენს, რომ მსჯავრდებულის მიერ განხორციელებული ქმედება აღარ წარმოადგენს დანაშაულს.

11. №609 კონსტიტუციური წარდგინების თანახმად, სასამართლო ვერ გასცდება სააპელაციო საჩივრის ფარგლებს ისეთ შემთხვევაშიც კი, როდესაც ხდება პირის ორჯერ მსჯავრდება ერთი და იმავე დანაშაულის გამო. შესაბამისად, საქართველოს უზენაეს სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ზღუდავს სასამართლოს შესაძლებლობას, გასცდეს სააპელაციო საჩივრის ფარგლებს იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა ერთი და იმავე დანაშაულისთვის განმეორებით მსჯავრდება, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტს.

12. №608 და №609 წარდგინების ავტორი, საკუთარი არგუმენტაციის გასამყარებლად, დამატებით იშველიებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტებს და სხვა ქვეყნების სასამართლო პრაქტიკას სადავო საკითხებთან მიმართებით.

13. 2015 წლის 21 ივლისს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ახსნა-განმარტებით მიმართა საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელმა. ახსნა-განმარტების თანახმად, №608 და №609 წარდგინებების სადავო ნორმები

წარმოადგენს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის კლასიკურ გამოვლინებას, რომელიც სათავეს იღებს საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 პუნქტიდან და წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესის ყველა პრინციპის ზოგად საფუძველს. პარლამენტის წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 პუნქტი არ იცავს მხოლოდ მხარეთა პროცესუალურ თანასწორობას, არამედ მისი მიზანია, გადაწყვეტილება მიღებული იქნეს შეჯიბრებითი პროცესის შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე. სახელმწიფო ვალდებულია, შექმნას პროცესუალური საფუძველი, რათა დაცვის და ბრალდების მხარეებს შეეძლოთ, თანაბრად დაიცვან თავიანთი პოზიციები სასამართლოს წინაშე, მოსამართლე კი უნდა ასრულებდეს მიუკერძოებელი არბიტრის როლს და გათავისუფლებული იყოს დაცვის და ბრალდების ელემენტებისგან.

14. რამდენადაც მხარეებისთვის უზრუნველყოფილია მათი პოზიციების სრულყოფილად წარმოდგენის და დაცვის შესაძლებლობა, თუ მხარე უარს ამბობს მისთვის მინიჭებული უფლების განხორციელებაზე, ეს არ გულისხმობს ამ უფლების დარღვევას, შესაბამისად, სასამართლოს არ უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, მხარის ნების საწინააღმდეგოდ მოახდინოს ამ უფლების რეალიზება. თუ სასამართლო გასცდება სააპელაციო ან საკასაციო საჩივრის ფარგლებს, ის მნიშვნელოვნად დაარღვევს შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებულ ბალანსს და სასამართლოს არა არბიტრად, არამედ დაცვის ან ბრალდების მხარედ აქცევს, რაც მიუღებელია კონსტიტუციის სულისკვეთებისთვის. ამასთან, პარლამენტის ახსნა-განმარტებაში მითითებულია, რომ სადავო ნორმების კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან და 42-ე მუხლის მე-5 პუნქტთან მიმართებით შეფასებისას, საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმები უნდა განმარტოს კონსტიტუციური პრინციპების კონტექსტში და განსაკუთრებით კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით, რათა ეს ნორმები განმარტების შედეგად არ დასცილდნენ მთლიანად კონსტიტუციაში გათვალისწინებულ ღირებულებათა წესრიგს.

15. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეკითხვების პასუხად ვენეციის კომისიამ მოამზადა სასამართლოს მეგობრის მოსაზრება სისხლის სამართალში სასარჩელო მოთხოვნით შეზღუდვის წესთან (*non ultra petita*) დაკავშირებით. კითხვის პასუხად, თუ რა შემთხვევაში შეუძლიათ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებს, გასცდნენ სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, ვენეციის კომისიის მოსაზრებაში მითითებულია, რომ მთელი რიგი ევროპული სახელმწიფოები, ისევე როგორც ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა, ჩილე, სამხრეთ აფრიკა და სხვა სახელმწიფოები, იცნობენ წესს, რომელიც ზემდგომი ინსტანციების სასამართლოების უფლებამოსილებას შემოფარგლავს იმ ფაქტობრივი

და სამართლებრივი საკითხებით, რომლებსაც მხარეები აყენებენ სასამართლოს წინაშე. აღნიშნული წესი კონტინენტური სამართლის ქვეყნებში აქტიურად არის წარმოდგენილი, იმ ქვეყნების ჩათვლით, სადაც სისხლის სამართლის პროცესის ინკვიზიციური მოდელი მოქმედებს. ამის მიუხედავად, ხშირად შესაბამის ქვეყნებში არსებობს კანონმდებლობით ან სასამართლო პრაქტიკით დადგენილი გამონაკლისები ზემოხსენებული წესიდან, რაც ემსახურება კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით დადგენილი ფუნდამენტური უფლებების და სამართლიანობის ინტერესების დაცვას.

16. მეორე კითხვა ეხებოდა სასამართლოების უფლებამოსილებას ან ვალდებულებას, გასცდნენ სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს საკუთარი ინიციატივით განმეორებით მსჯავრდების აკრძალვის, ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტის, კანონის გარეშე პასუხისმგებლობის აკრძალვის ან უფრო მსუბუქი კანონის გამოყენების პრინციპების დასაცავად. სასამართლოს მეგობრის პოზიციაში მითითებულია, რომ ზემოხსენებული პრინციპები კონსტიტუციურად დაცულია ბევრ სახელმწიფოში და, შესაბამისად, ბოჭავს სასამართლოებს, იმისდა მიუხედავად, კონკრეტული მხარე ან ადვოკატი აყენებს თუ არა მათი დაცვის საკითხს საქმეში. თუნდაც ქვეყნის კონსტიტუცია არ ითვალისწინებდეს ამ პრინციპებს, ისინი მოცულია რეგიონული და საერთაშორისო-სამართლებრივი აქტებით, ისინი თანდათან იმკვიდრებენ საერთაშორისო ჩვეულებით-სამართლებრივი ნორმების სტატუსს და, შესაბამისად, საერთაშორისო საზოგადოებას ევალება მათი დაცვა. სასამართლო მეგობრის მოსაზრება მიუთითებს, რომ სახელმწიფოების უმრავლესობაში სასამართლოებს გააჩნიათ უფლებამოსილება, ზოგ შემთხვევაში კი ევალებათ, რომ საკუთარი ინიციატივით დაიცვან ზემოხსენებული ფუნდამენტური პრინციპები.

17. №608 და №609 წარდგინებებთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოში სასამართლოს მეგობრის პოზიცია წარმოადგინეს აგრეთვე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მკვლევარებმა - გიორგი მელამემ, გიორგი გიორგაძემ და გიორგი ნონიაშვილმა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზის, კონტინენტური სამართლის ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატების სისხლის სამართლის საპროცესო მოდელების შედარების, აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვის საფუძველზე, სასამართლოს მეგობრის პოზიციაში მითითებულია, რომ საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლით განმტკიცებული შეჯიბრებითობის პრინციპის განმარტება კონსტიტუციის მე-40 და 42-ე მუხლების ჭრილში უნდა მოხდეს, რადგან ეს პრინციპი არ არის აბსოლუტური და მისგან გამონაკლისები დასაშვებია, თუ ისინი ეფუძნება გონივრულ საფუძველს. აგრეთვე შეჯიბრებითობის

პრინციპის შეზღუდვა არ უნდა ლახავდეს მსჯავრდებულის უფლებას, იცნობდეს წაყენებული ბრალდების არსს და ჰქონდეს საკმარისი დრო და საშუალება მისგან თავის დასაცავად. შესაბამისად, კეთდება დასკვნა, რომ სააპელაციო და საკასაციო სასამართლოების აბსოლუტური შეზღუდვა აპელანტის ან კასატორის მოთხოვნით ეწინააღმდეგება მე-40 და 42-ე მუხლებით დაცულ უფლებებს.

18. სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის ფარგლებში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა აგრეთვე საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციამ და წარმოადგინა თავისი მოსაზრებები №608 და №609 წარდგინებებთან დაკავშირებით. აღნიშნული მოსაზრების თანახმად, სადავო ნორმები ემსახურება შეჯიბრებითობის პრინციპის რეალიზებას და ამ პრინციპის არსი ბრალდებულის უფლებების დაცვაა მხარეთა შესაძლებლობების მაქსიმალური გათანაბრების გზით. რამდენადაც სახელმწიფოს ბრალდებულთან შედარებით ფართო შესაძლებლობები აქვს, მხარეთა აბსოლუტური თანასწორობის მიღწევა შეუძლებელია და შეიძლება არსებობდეს საჭიროება დაცვის მხარისთვის დამატებითი გარანტიების მინიჭებისა, რაც არ არღვევს შეჯიბრებითობას. შესაბამისად, მოსაზრებაში მოყვანილია დასკვნა, რომ ბრალდების მხარის სასარგებლოდ საჩივრის ფარგლებიდან გასვლა დაარღვევს შეჯიბრებითობას და მხარეთა თანასწორობას, რადგან ბრალდებულს არ მისცემს დაცვის სათანადოდ მომზადების საშუალებას; ბრალდებულის სხვა კონსტიტუციური უფლებების დასაცავად იმავეს გაკეთება, კი არ დაარღვევს შეჯიბრებითობის პრინციპს, არამედ გარანტიებს შექმნის ბრალდებულის სამართლიანი სასამართლოს უფლებების დასაცავად. ამდენად, კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეჯიბრებითობის პრინციპი არ უნდა განიმარტოს ბრალდებულის სხვა კონსტიტუციური უფლებების საზიანოდ და არ უნდა გამორიცხოს სასამართლოს ინიციატივა სხვა კონსტიტუციური გარანტიების დასაცავად.

II

სამოტივაციო ნაწილი

1. მოცემული დავის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს კონსტიტუციურია თუ არა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებს ართმევს შესაძლებლობას, გასცდნენ სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, როდესაც ამას მოითხოვს პასუხისმგებლობის გამაუქმებელი კანონის

უკუდალით გამოყენებისა და ორმაგი მსჯავრდების აკრძალვის კონსტიტუციური პრინციპები.

2. საქართველოს უზენაესი სასამართლო, როგორც №608 კონსტიტუციური წარდგინების ავტორი, მოითხოვს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის დადგენას საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით. კონსტიტუციური წარდგინების ავტორის აზრით, სადავო ნორმა ზღუდავს სასამართლოს საკასაციო საჩივრის ფარგლებით და, შესაბამისად, თუ მხარე არ დააყენებს შესაბამის მოთხოვნას, სადავო ნორმა სასამართლოს არ აძლევს პირის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების შესაძლებლობას მაშინაც კი, როდესაც კონკრეტულ საქმეში მოსამართლე აღმოაჩენს, რომ მსჯავრდებულის მიერ განხორციელებული ქმედება აღარ წარმოადგენს დანაშაულს ახალი კანონის თანახმად.

3. შესაბამისად, წარდგინებაში იდენტიფიცირებული კონსტიტუციური პრობლემა უკავშირდება პასუხისმგებლობის გამაუქმებელი, ახალი კანონის უკუდალით გამოყენების პრინციპს, რაც დაცულია არა საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტით, არამედ კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მეორე წინადადებით.

4. „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კონსტიტუციური წარდგინების შემტან სასამართლოს ევალება იმ კონსტიტუციური დებულებების მითითება, რომლებსაც, წარდგინების ავტორის აზრით, არ შეესაბამება ან არღვევს ნორმატიული აქტი. საკონსტიტუციო სასამართლოს არსებული პრაქტიკით, კონსტიტუციური წარდგინება არსებითად განსახილველად არ მიიღება, თუ სადავო ნორმების კონსტიტუციურობის საკითხი ვერ იქნება განხილული წარდგინების ავტორის მიერ დასახელებულ კონსტიტუციურ დებულებებთან მიმართებით (იხ. საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 22 სექტემბრის განჩინება 1/6/115 საქმეზე „ხაშურის რაიონული სასამართლოდან შემოტანილი კონსტიტუციური წარდგინება“, საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 1 აპრილის 2/88/1 განჩინება საქმეზე „ქ. ჭიათურის სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება“). თუმცა კონსტიტუციური წესრიგისთვის საერთო სასამართლოების წარდგინების მნიშვნელობისა და საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი უფლებამოსილების მარეგულირებელი კანონმდებლობის გათვალისწინებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს ახალი პრაქტიკის დამკვიდრებას.

5. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საერთო სასამართლო კონსტიტუციური წარდგინებით მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს, თუ

კონკრეტული საქმის განხილვისას აღმოაჩენს, რომ ნორმატიული აქტი, რომელიც უნდა გამოიყენოს სასამართლომ ამ საქმის გადაწყვეტისას, შეიძლება მიჩნეულ იქნეს კონსტიტუციის შეუსაბამოდ. ამდენად, კონსტიტუციური წარდგინების ინსტიტუტი ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში კონსტიტუციის უზენაესობის უმნიშვნელოვანესი გარანტიაა, რომელიც საშუალებას აძლევს საერთო სასამართლოებს, თავიდან აიცილონ სავარაუდოდ არაკონსტიტუციური ნორმატიული აქტის გამოყენება. ამასთან, კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვის შესაძლებლობა კონსტიტუციურ ღირებულებებს პრაქტიკულ და რეალურ ძალას სძენს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში და საერთო სასამართლოების საქმიანობაში კონსტიტუციის მოთხოვნების გათვალისწინებას და დაცვას უზრუნველყოფს.

6. კონსტიტუციური წარდგინების ინსტიტუტის არსი ნათლად აჩვენებს, რომ ის არ ემსახურება წარდგინების ავტორის ინტერესების დაცვას, არამედ ორიენტირებულია კონსტიტუციის მოთხოვნებისა და დანაწესების დაცვის ობიექტურ ინტერესზე სამართლებრივ სახელმწიფოში. საქმის განხილველი სასამართლოს მიერ წარდგინებით მიმართვის მიზანი არის სამართალწარმოების მონაწილე პირების და ინსტიტუტების კონსტიტუციური გარანტიების დაცვა. ამის ნათელი პრაქტიკული გამოვლინებაა საერთო სასამართლოების წარდგინების განხილვის პროცესი საკონსტიტუციო სასამართლოში, რაც მიმდინარეობს წარდგინების ავტორისა და სადავო ნორმატიული აქტის მიმღები ორგანოს მონაწილეობის გარეშე (“საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი). წარდგინების ავტორ საერთო სასამართლოს არ შეუძლია აგრეთვე უარი თქვას კონსტიტუციური წარდგინების განხილვაზე და მოითხოვოს საქმის შეწყვეტა („საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტი). ეს პროცესუალური ნორმები მიუთითებს, რომ საერთო სასამართლოები კონსტიტუციური წარდგინების ინსტიტუტის ფარგლებში მოქმედებენ საჯარო ინტერესის დასაცავად და ისინი არ წარმოადგენენ პროცესის დამოუკიდებელ მონაწილეებს, რომლებსაც გააჩნიათ საკუთარი ინტერესი. კონსტიტუციური წარდგინების არსი ორ სასამართლო სისტემას შორის თანამშრომლობაა კონსტიტუციური ღირებულებების დასაცავად, სადაც საერთო სასამართლოები კონკრეტული სამართალწარმოების მაგალითზე ახდენენ პრობლემის იდენტიფიცირებას და საკონსტიტუციო სამართალწარმოების ინიცირებას, საკონსტიტუციო სასამართლო კი უზრუნველყოფს სადავო ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შეფასებას და კონსტიტუციასთან შეუსაბამობის დადგენის შემთხვევაში არაკონსტიტუციური ნორმის გაუქმებას.

7. როდესაც კონსტიტუციური წარდგინების ავტორი - საქმის განმხილველი სასამართლო მიიჩნევს, რომ საკანონმდებლო ნორმა, რომელსაც ის კონკრეტული სისხლისამართლებრივი საკითხის გადაწყვეტისას უნდა დაეყრდნოს, არ შეესაბამება კონსტიტუციას და ამ მიზეზით აჩერებს საქმისწარმოებას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოსაყენებელი ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხის გადაწყვეტამდე, საკონსტიტუციო სასამართლო ვერ დატოვებს შეფასების გარეშე მის მიერ წარდგინებაში დასმულ პრობლემას კონსტიტუციური ნორმის არასწორად იდენტიფიცირების ფორმალური მიზეზით. სხვაგვარად, გამოსაყენებელი ნორმის კონსტიტუციურობა კვლავ ექვევებოდა დარჩება, რადგან კონსტიტუციის თანახმად, ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს. ამასთან, საერთო სასამართლოში ამაოდ გაჭიანურდება საქმის განხილვა, რაც, თავისთავად, შექმნის უფლების დარღვევის დამატებით რისკს. შესაბამისად, არასწორად მითითებული კონსტიტუციური ნორმის გამო წარდგინების არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმა, არა მხოლოდ შეაფერხებს საერთო სასამართლოს მიერ საკითხის გადაწყვეტას, არამედ შესაძლოა წარდგინების ინსტიტუტი არსებითად არაეფექტური გახადოს. ეს გაუმართლებლად გაზრდიდა კონსტიტუციის დარღვევის რისკს არა მხოლოდ იმ კონკრეტულ საქმეში, რომლის ფარგლებშიც მიმართა საერთო სასამართლომ წარდგინებით საკონსტიტუციო სასამართლოს, არამედ ყველა სამართალწარმოებაში, სადაც იმავე სამართლებრივი პრობლემის გადასაწყვეტად იმავე ნორმის გამოყენების საჭიროება წარმოიქმნებოდა და კონსტიტუციური პრობლემის მოგვარებას გადაავადებდა განუსაზღვრელი ვადით.

8. საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინების მნიშვნელობის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკმარისია, წარდგინებაში მკაფიოდ იკვეთებოდეს კონსტიტუციური პრობლემა, რომლის გადაწყვეტაც სურს კონსტიტუციური წარდგინების ავტორს. საკონსტიტუციო სასამართლო იხელმძღვანელებს წარდგინების ავტორის მოსაზრებით, თუ რა შინაარსობრივ შეუსაბამობას იწვევს კონსტიტუციასთან სადავო ნორმატიული აქტის გამოყენება. შესაბამისად, სადავო ნორმის/ნორმების კონსტიტუციურობა შეფასდება კონსტიტუციის იმ დებულებასთან, რომელიც პასუხს სცემს წარდგინების ავტორის მიერ იდენტიფიცირებულ სადავო საკითხს.

9. საკონსტიტუციო სასამართლო, ზოგადად, არ გამორიცხავს სადავო ნორმის საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან შეფასების შესაძლებლობას, თუმცა განსახილველ საქმეში მითითებული პრობლემის ხასიათიდან გამომდინარე, ზემოთ განვითარებული მსჯელობის (მიდგომის)

გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობას შეაფასებს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მეორე წინადადებასთან მიმართებით.

10. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლი არეგულირებს დასაშვებად ცნობილი საკასაციო საჩივრის განხილვის წესს საკასაციო სხდომაზე. ამ მუხლის სადავო მე-4 ნაწილი ადგენს, რომ განხილვა ხდება საკასაციო საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. აღნიშნული დანაწესიდან ერთადერთი გამონაკლისი მოცემულია 309-ე მუხლში (“საკასაციო საჩივრის სარევიზიო საწყისი”), რომელიც სასამართლოს ავალდებულებს, იმსჯელოს იმ მსჯავრდებულის მიმართაც, რომელსაც საკასაციო საჩივარი არ შეუტანია, თუ იმავე საქმეზე მსჯავრდებული სხვა პირის საჩივრის განხილვისას დაადგენს, რომ განაჩენი ეფუძნება კანონის დარღვევას და აღნიშნული სამართლებრივი შეცდომა არაკასატორ მსჯავრდებულსაც შეეხო. სხვა გამონაკლისი, რომელიც სასამართლოს უფლებას მისცემს სხდომის ჩატარების და შემდგომ, გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე, გასცდეს საკასაციო საჩივრის ფარგლებს იმავე მუხლში ან კოდექსის სხვა ნაწილში, მოცემული არ არის. სადავო ნორმა ნათლად ავალდებულებს სასამართლოს, არ გასცდეს კასატორთა მოთხოვნებს.

11. იდენტური წყობა და მიზანმიმართულება აქვს №609 კონსტიტუციურ წარდგინებაში დასახელებულ სადავო ნორმას. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლი ადგენს, რომ სააპელაციო სასამართლო სააპელაციო საჩივარს განიხილავს იმავე წესით, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლო, თუმცა აგრეთვე განსაზღვრავს სააპელაციო განხილვის განსხვავებებს პირველი ინსტანციის სასამართლოს განხილვისგან. 297-ე მუხლის სადავო “ზ” ქვეპუნქტში კი მოცემულია ერთ-ერთი ამგვარი განსხვავება - სააპელაციო საჩივარი განხილული უნდა იქნეს საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ამ შემთხვევაშიც უშვებს ერთ გამონაკლისს, როდესაც სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, გასცდეს მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს: 299-ე მუხლის თანახმად, თუ სააპელაციო სასამართლო დააკმაყოფილებს მსჯავრდებულის მიერ შეტანილ სააპელაციო საჩივარს, ის ვალდებულია, იმსჯელოს განაჩენით ამ საქმეში მსჯავრდებული სხვა პირის მიმართაც, რომელსაც სააპელაციო საჩივარი არ შეუტანია. ყველა სხვა შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლო ვალდებულია, შეიზღუდოს და საქმის განხილვა და გადაწყვეტა მოაქციოს წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრისა და შესაგებლის ფარგლებში.

12. №609 კონსტიტუციური წარდგინებების ავტორის აზრით, სადავო ნორმები სისხლის სამართლის პროცესში შეჯიბრებითობის და თანასწორობის პრინციპებს განამტკიცებს. მოპასუხის წარმომადგენელიც ამტკიცებს, რომ სადავო ნორმები

შეჯიბრებითობის პრინციპის გამოვლინებაა, რომელიც ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით იქნა დამკვიდრებული და რომელიც სათავეს იღებს საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 პუნქტიდან. შესაბამისად, მოპასუხის წარმომადგენელი ამტკიცებს, რომ სადავო ნორმები და შესაბამისი კონსტიტუციური დებულებები კონსტიტუციის 85-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით უნდა განიმარტოს. სადავო ნორმების დანიშნულება შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვის მიზნით არის ახსნილი აგრეთვე საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის მკვლევარების, სასამართლოს მეგობრების მოსაზრებებში.

13. მოცემული დავის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა შეაფასოს 306-ე მუხლის მე-4 პუნქტის კონსტიტუციურობა კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მე-2 წინადადებასთან და 297-ე მუხლის “ზ” ქვეპუნქტის კონსტიტუციურობა 42-ე მუხლის მე-4 პუნქტთან. ამასთან, რამდენადაც კონსტიტუცია ერთიანი დოკუმენტია, სადაც ნორმები და პრინციპები ერთმანეთთან კავშირში უნდა განიმარტოს ადამიანის უფლებების უკეთ დაცვის მიზნით, სადავო ნორმების კონსტიტუციურობის ანალიზის პირველ ეტაპზე საჭიროა გაირკვეს, რა მოთხოვნებს აკისრებს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 პუნქტი სახელმწიფოს შეჯიბრებითობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით და რა მნიშვნელობა აქვს აღნიშნულ დანაწესს სადავო ნორმების კონსტიტუციურობისთვის მოცემული დავის ფარგლებში.

14. საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, “სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე”. აღნიშნულ დებულებაზე მსჯელობისას, პირველ რიგში უნდა გავმიჯნოთ სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებითი მოდელი, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებული სამართალწარმოების მოდელი და შეჯიბრებითობის პრინციპი, როგორც სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთი ელემენტი.

15. სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებითი მოდელი ხასიათდება საპროცესო მოქმედებების ჩატარების თავისებური სისტემითა და პროცესის მონაწილეთა როლების თავისებური გამიჯვნით. ინკვიზიციური პროცესისგან განსხვავებით, სადაც მოსამართლე აღჭურვილია უფლებამოსილებებით, საკუთარი ინიციატივით გამოიკვლიოს საქმესთან დაკავშირებული გარემოებები, შეჯიბრებითი მოდელის ფუნდამენტურ ნიშანს წარმოადგენს მოსამართლის ნეიტრალურობის პირობებში სასამართლოში ჭეშმარიტების დამტკიცების ფუნქციის მხარეთა ინიციატივისთვის მინდობა. აღნიშნულ მოდელში მოსამართლის მიმართ ნეიტრალურობისა და პასიურობის მოლოდინი მოქმედებს. შეჯიბრებითი პროცესი

დაფუძნებულია რწმენაზე, რომ სათანადოდ მომზადებული და დაინტერესებული მხარეები სასამართლოს წარუდგენენ საკმარის ინფორმაციასა და არგუმენტებს, ხოლო მოსამართლის ძირითად ამოცანას მხარეთათვის ასეთი შესაძლებლობის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ინკვიზიციური სისტემისგან განსხვავებით, შეჯიბრებით მოდელში, ზოგადი წესის მიხედვით, მხარეები წყვეტენ, რა მტკიცებულებებს და არგუმენტებს წარუდგენენ სასამართლოს და რა საკითხებზე იდავებენ.

16. რაც შეეხება შეჯიბრებითობის პრინციპს, ის სამართლიანი სასამართლოს უფლების შემადგენელი ელემენტია და წარმოადგენს როგორც ინკვიზიციური, ისე შეჯიბრებითი სისხლის სამართლის მოდელის ნაწილს. ამის ნათელი მაგალითია ის, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ყველა ხელშემკვრელ სახელმწიფოს მოეთხოვება პროცესის შეჯიბრებითობის, როგორც კონვენციით დაცული პრინციპის უზრუნველყოფა, მიუხედავად იმისა, სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებით თუ ინკვიზიციურ მოდელს ირჩევენ ისინი ეროვნულ დონეზე.

17. შეჯიბრებითობის პრინციპი სამართლიანი სასამართლოს სხვადასხვა გარანტიაში შეიძლება გამოვლინდეს. საკონსტიტუციო სასამართლომ შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვის მნიშვნელოვან გარანტიად მიიჩნია საქმის ზეპირი განხილვა: “საქმის ზეპირი მოსმენა ითვალისწინებს რა მხარეთა უშუალო მონაწილეობას საქმის განხილვაში, რაც ნიშნავს მათ შესაძლებლობას, წარადგინონ მტკიცებულებები, გამოთქვან მოსაზრებები, დაიცვან თავი პირადად ან დამცველის მეშვეობით, სწორედ ამ გზით, წარმოადგენს მნიშვნელოვან გარანტიას პროცესის შეჯიბრებითობის, დაცვის უფლებით ადეკვატურად სარგებლობისთვის, ამასთან, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს მხარეთა შესაძლებლობას, უკეთ დაიცვან საკუთარი ინტერესები, გავლენა მოახდინონ საქმის გადაწყვეტაზე, ხელი შეუწყონ სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას” (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2014 წლის 23 მაისის 3/1/574 გადაწყვეტილება საქმეზე “საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”, II-61). აღნიშნულ გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ ნათლად მიუთითა, რომ შეჯიბრებითი პროცესის არსს ქმნის მხარეების შესაძლებლობა, წარმოადგინონ მტკიცებულებები, ახალი ფაქტობრივი გარემოებები, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო მსჯელობს ფაქტობრივ გარემოებებზე, გამოთქვან მოსაზრებები, გამოხატონ პოზიციები როგორც საკუთარი, ისე მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე და საქმესთან დაკავშირებულ გარემოებებზე, რათა დაარწმუნონ სასამართლო საკუთარი არგუმენტების სისწორეში და გავლენა მოახდინონ სწორი და სამართლიანი

გადაწყვეტილების მიღებაზე (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2014 წლის 23 მაისის 3/1/574 გადაწყვეტილება საქმეზე “საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”, II-75)

18. როგორც სისხლის, ისე სხვა ტიპის სამართალწარმოების ფარგლებში შეჯიბრებითობის პრინციპის მთავარი მიზანია, უზრუნველყოს პროცესის მხარე შესაძლებლობით, გაეცნოს, აზრი გამოთქვას და თუ ეს მის ინტერესებშია გააქარწყლოს ყველა მტკიცებულება და არგუმენტი, რომელზეც სასამართლომ შეიძლება დააფუძნოს თავისი მოსაზრება, აგრეთვე დაარწმუნოს სასამართლო თავისი პოზიციის სისწორეში, წარუდგინოს მას შესაბამისი მტკიცებულებები და მოსაზრებები, რასაც სასამართლომ პასუხი უნდა გასცეს თავის დასაბუთებულ გადაწყვეტილებაში, როგორც მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილების, ისე უარყოფის შემთხვევაში. ამ მიზნიდან გამომდინარე, ნათელია, რომ შეჯიბრებითობის პრინციპი უკავშირდება სამართლიანი სასამართლოს უფლების სხვა გარანტიებსაც - მოწინააღმდეგე მხარის მტკიცებულებების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლებას, საკმარისი დროისა და შესაძლებლობის ქონას დაცვის მოსამზადებლად და დაცვის უფლებას, პირადად ან დამცველის მეშვეობით მოწინააღმდეგე მხარის მოწმეების დაკითხვის და საკუთარი მოწმეების გამოძახებისა და თანაბარ პირობებში დაკითხვის უფლებას, დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილების მიღების უფლებას და ა.შ. შეჯიბრებითობის პრინციპის კავშირზე სამართლიანი სასამართლოს უფლების ცალკეულ გარანტიებთან მითითებულია აგრეთვე საქართველოს იურიდიული ფორმების ასოციაციის მიერ წარმოდგენილ სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაში.

19. ნათელია, რომ საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 პუნქტი აპელირებს შეჯიბრებითობის და თანასწორობის მჭიდროდ დაკავშირებულ პრინციპებზე და არა სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებით მოდელზე. თანასწორობის მოთხოვნა უზრუნველყოფს, რომ მხარეები ერთმანეთთან მიმართებით არ დაექვემდებარონ განსხვავებულ მოპყრობას და რომელიმე არ აღმოჩნდეს არახელსაყრელ მდგომარეობაში. თანასწორობა შეჯიბრებითობის აუცილებელი პირობაა, რადგან შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე უფლებები - საქმის გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვან ყველა გარემოებაზე და მტკიცებულებაზე აზრის გამოთქმის, გაქარწყლების და პასუხის მიღების უფლება თანაბრად უნდა გააჩნდეს ყველა მხარეს. 85-ე მუხლში თანასწორობის და შეჯიბრებითობის პრინციპი დეკლარირებულია სასამართლოში საქმის განხილვის სხვა პრინციპებთან - გადაწყვეტილების საქვეყნოობასთან, სამართალწარმოების სახელმწიფო ენაზე განხორციელების და თარჯიმნით უზრუნველყოფის წესებთან ერთად და ეხება არა მხოლოდ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების

განხორციელებას, არამედ სასამართლო ხელისუფლების მიერ განხორციელებულ სამართალწარმოებას ზოგადად. შესაბამისად, კონსტიტუციის 85-ე მუხლი და კონკრეტულად მისი მე-3 პუნქტი არ იძლევა რაიმე საფუძველს დასკვნისთვის, რომ აღნიშნული კონსტიტუციური დებულება მოითხოვს საქართველოში სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებითი მოდელის მიხედვით ჩამოყალიბებას.

20. კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნების გათვალისწინებით, საფუძველს მოკლებულია მტკიცება, რომ სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით ისეთი კონსტიტუციური პრინციპების აღსრულება, როგორიცაა პასუხისმგებლობის გამაუქმებელი კანონის უკუძალით გამოყენება ან პირის განმეორებითი მსჯავრდებისგან გათავისუფლება, როდესაც ამას არ მოითხოვს მოსარჩელე, *per se*, ზღუდავს შეჯიბრებითობის პრინციპს. შეჯიბრებითობის პრინციპი, სხვა საპროცესო გარანტიებთან ერთად, წარმოადგენს სამართლიანი სასამართლო განხილვის და საქმეზე “სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილების” მიღების უზრუნველყოფის საშუალებას, ინსტრუმენტს. კანონისმიერი ვალდებულება, რომელიც ბოჭავს მოსამართლეს, საქმეში არ გამოიყენოს და უგულებელყოს ფუნდამენტური და იმპერატიული კონსტიტუციური პრინციპები იმ მიზეზით, რომ მხარეები არ აპელირებენ მათზე, გამორიცხავს სამართლიანი სასამართლო განხილვის და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების მიზანს. ამდენად, პირველ რიგში, საფუძველს მოკლებულია მტკიცება, რომ წესი, რომელიც გამორიცხავს მიზნის მიღწევას, შეიძლება გამართლებული იქნეს ამ მიზნის მიღწევის საშუალების, ამ შემთხვევაში შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით.

21. ამასთან, მოსამართლის ინიციატივის შეზღუდვა ფაქტობრივი ან სამართლებრივი საკითხების განსაზღვრის პროცესში და მოსარჩელეთა მოთხოვნის წინა პლანზე წამოწევა, სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებითი მოდელის თავისთავადი ელემენტია და არა შეჯიბრებითობის პრინციპის მოთხოვნა. როგორც აღვნიშნეთ, შეჯიბრებითობის პრინციპი გულისხმობს მხარეებისთვის თანაბარი შესაძლებლობის მინიჭებას, წარადგინონ მათი პოზიციის სასარგებლო მტკიცებულებები, არგუმენტები და ამ გზით მოახდინონ გავლენა გადაწყვეტილების მიღებაზე, თუმცა ეს არც ერთ შემთხვევაში არ ათავისუფლებს მოსამართლეს თავისთავადი ვალდებულებისგან, ითვალისწინებდეს და სწორად იყენებდეს სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს იმისგან დამოუკიდებლად, მხარე რამდენად ჯეროვნად ახერხებს საკუთარი ინტერესების დაცვას და მიუთითებს თუ არა მოსამართლეს სამართლის სათანადო წესების და პრინციპების გამოყენების აუცილებლობაზე.

22. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის ვენეციის კომისიის მიერ მომზადებულ სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაში (CDL-AD(2015)016)

აღნიშნულია, რომ მხარეთა სასარჩელო მოთხოვნით სასამართლოს კომპეტენციის შემოფარგვლა (*non ultra petita*) არ არის შეჯიბრებითი მოდელის უნიკალური მახასიათებელი და მსგავსი წესი მოქმედებს ზოგიერთ ინკვიზიციური მოდელის მქონე ქვეყანაშიც. ამავე დროს, შეჯიბრებითი მოდელის არსებობა არ გამორიცხავს, რომ მხარეთა მოთხოვნით სასამართლოების შეზღუდვის წესიდან არსებობდეს გამონაკლისები. შეჯიბრებით მოდელშიც კი, სასამართლოები მხარეების მოთხოვნებისგან დამოუკიდებლად, საკუთარი ინიციატივით წამოჭრიან და წყვეტენ საკითხებს, რაც საქმის გადაწყვეტისთვის ან საქმეში იდენტიფიცირებული უსამართლობის აღმოფხვრისთვის მნიშვნელოვნად მიაჩნიათ. შეჯიბრებითი თუ ინკვიზიციური მოდელების თავისებურებების მიუხედავად, შესაძლოა არსებობდეს რიგი საკითხებისა, რომლებიც სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა სასამართლომ საკუთარი ინიციატივით და მხარეთა მოთხოვნის მიუხედავად უნდა შეამოწმოს. ამგვარ საკითხთა რიგს განეკუთვნება ისიც, თუ რომელი კანონი უნდა იქნეს გამოყენებული სასამართლოს მიერ. საჭიროების შემთხვევაში სასამართლომ არ უნდა დაუშვას გაუქმებული ან სახეშეცვლილი საკანონმდებლო ნორმის გამოყენება და უნდა გამოასწოროს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ დაშვებული შეცდომები. სასამართლოების მიერ საკუთარი ინიციატივით საკითხების გადაწყვეტა ან დაშვებული შეცდომების აღმოფხვრა შეიძლება წარმოშობდეს პრობლემებს მხარეთა და, განსაკუთრებით, დაცვის მხარის უფლებასთან მიმართებით, ინფორმირებული იყოს მის წინააღმდეგ არსებული ბრალდების ან მტკიცებულებების შესახებ და მხარის უფლებასთან, გააცნოს სასამართლოს თავისი მოსაზრება საქმისთვის მნიშვნელოვან ყველა საკითხზე. თუმცა, თავისთავად, ცალკეულ საკითხებზე სასამართლოს ინიციატივის დაშვება, რაც განსახილველი საქმის დაცვის საგანს წარმოადგენს, არ ქმნის ამგვარ პრობლემებს და, შესაბამისად, მათზე მსჯელობა დაცვის საგანს სცდება.

23. ზემოთხეხილიდან გამომდინარე, კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნა თანასწორი და შეჯიბრებითი სამართალწარმოების შესახებ არ მოითხოვს მოსამართლეების უგამონაკლისო და ბლანკეტურ ბოჭვას მოსარჩელეთა მოთხოვნის ფარგლებით, როდესაც ადგილი შეიძლება ჰქონდეს შემამსუბუქებელი კანონის გამოყენების ან განმეორებით მსჯავრდების აკრძალვის კონსტიტუციური პრინციპების დარღვევას. ამასთან, იმ ქვეყნების საპროცესო კანონმდებლობების ანალიზი, რომლებიც სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებით მოდელს იყენებენ, ცხადყოფს, რომ მხარეთა მოთხოვნის ფარგლებით სასამართლოს შებოჭვის წესიდან გამონაკლისები ამ ქვეყნებშიც არსებობს და სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებითი მოდელის ფუნქციონირებას არ უქმნის საფრთხეს.

ა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მეორე წინადადებასთან

24. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მეორე წინადადების თანახმად, “კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს”. 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მე-2 წინადადებით მოწესრიგებულია კანონის უკუძალის აკრძალვის ფუნდამენტური პრინციპი (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის №2/2/516,542 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმაღაძე და ვახტანგ მაისაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II – 28, 29). “უკუძალის აკრძალვა ზღუდავს კანონმდებლის თავისუფლებას, შემოიღოს ისეთი კანონი, რომელიც ადამიანს პასუხისმგებლობას დააკისრებს იმ ქმედებისთვის, რაც მისი ჩადენის მომენტში არ იყო დასჯადი. ამით კონსტიტუცია აღიარებს, რომ აღნიშნული პრინციპი ატარებს აბსოლუტურ ხასიათს და მისი დარღვევა დაუშვებელია... ამ აბსოლუტური კონსტიტუციური მოთხოვნიდან არსებობს მხოლოდ ერთი გამონაკლისი - 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის დაცვის სფეროში კანონმდებელს შეუძლია მიანიჭოს კანონს უკუძალა, თუ ის გააუქმებს სამართალდარღვევის ჩადენის დროს მოქმედი კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას ან შეამსუბუქებს მას” (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის №1/1/428,447,459 გადაწყვეტილება საქმეზე “საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”, II-1,3).

25. ამასთან, უშუალოდ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ან გამაუქმებელი კანონის უკუძალით გამოყენების კონსტიტუციურ დებულებასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა: “საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მე-2 წინადადება ადგენს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და გამაუქმებელი კანონის უკუძალით გავრცელებისთვის კონსტიტუციურ საფუძველს. მართალია, ის არ ბოჭავს ხელისუფლებას ისეთივე აბსოლუტური, უპირობო ვალდებულებით, როგორსაც წარმოადგენს ამავე ნორმით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დამდგენი ან დამამძიმებელი კანონის უკუძალით გავრცელების აკრძალვა, მაგრამ ნამდვილად დამატებით ზღუდავს სახელმწიფოს თავისუფალი მიხედულების ფარგლებს პრინციპით - არ მოხდეს ადამიანის თავისუფლებაში ჩარევა მაშინ, როდესაც ამის აუცილებლობა არ/აღარ არსებობს და იმაზე უფრო მკაცრად, ვიდრე ეს ობიექტურად აუცილებელია კონკრეტული ლეგიტიმური მიზნების დასაცავად” (საქართველოს

საკონსტიტუციოს სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის №1/4/557,571,576 გადაწყვეტილება საქმეზე “საქართველოს მოქალაქეები - ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”, II -71).

26. “როდესაც ხდება ქმედების დეკრიმინალიზაცია ან სასჯელის შემსუბუქება, საფუძველი ეცლება გარკვეული დროით ადრე ჩადენილი იგივე ქმედებისთვის პასუხისმგებლობის ან უფრო მკაცრი პასუხისმგებლობის დაკისრებას... პირმა პასუხი უნდა აგოს რეალურად საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩადენისთვის, ამასთან, იმ წესითა და ფარგლებში, რაც ობიექტურად აუცილებელი და საკმარისია კონკრეტული სამართალდარღვევისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნების მისაღწევად” (საქართველოს საკონსტიტუციოს სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის №1/4/557,571,576 გადაწყვეტილება საქმეზე “საქართველოს მოქალაქეები - ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”, II - 64).

27. როგორც საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, “პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ან გამაუქმებელი კანონის უკუძალით გამოყენების ვალდებულება მკაფიოდ არის დაფიქსირებული სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-15 მუხლის პირველ პუნქტში. კერძოდ: “... თუ დანაშაულის ჩადენის შემდეგ კანონით დადგენილია უფრო მსუბუქი სასჯელი, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება ამ დამნაშავეზეც”. მაშასადამე, ეს ნორმა არეგულირებს როგორც კანონის უკუძალის აკრძალვის წესს, ისე კანონის უკუძალით გამოყენების ვალდებულების საფუძველს, ფარგლებს” (საქართველოს საკონსტიტუციოს სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის №1/4/557,571,576 გადაწყვეტილება საქმეზე “საქართველოს მოქალაქეები - ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”, II - 68). ქმედების ჩადენის შემდგომ მიღებული უფრო მსუბუქი კანონის გამოყენების წესს იცავს აგრეთვე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, ევროკავშირის სასამართლო, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და მიიჩნევა, რომ აღნიშნული წესი ევროკავშირის წევრი ქვეყნების საერთო კონსტიტუციური ტრადიციების ნაწილს წარმოადგენს (ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილება საქმე SCOPPOLA v. ITALY (No. 2) (განაცხადი ნო. 10249/03), პარ. 105)

28. მოცემული დავის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, რამდენად შეესაბამება 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მეორე წინადადებას №608 კონსტიტუციური წარდგინების სადავო ნორმა, რომელიც მოითხოვს, რომ საკასაციო საჩივარი განხილული იქნეს საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში.

29. როგორც ზემოთ აღინიშნა, სადავო ნორმა საკასაციო საჩივრის მხარეთა მოთხოვნის ფარგლებში განხილვის წესს აყალიბებს გამონაკლისების გარეშე (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სახეზეა რამდენიმე მსჯავრდებული, რაც განხილულია ზემოთ). სადავო ნორმა საკასაციო სასამართლოს არ ანიჭებს დისკრეციას იმისთვის, რომ სასამართლოს განხილვა რაიმე შემთხვევაში გასცდეს მხარეთა საკასაციო საჩივარში და შესაგებელში დაყენებულ მოთხოვნას. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ სადავო ნორმის მკაფიო ტექსტის უგულებელყოფის გარეშე საკასაციო სასამართლოს არ აქვს უფლებამოსილება, შეაფასოს, ხომ არ გაუქმდა ახალი კანონის საფუძველზე დანაშაული, რომლისთვისაც პირს მსჯავრი დაედო და ამ კითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში, კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მე-2 წინადადების მოთხოვნის თანახმად, გაათავისუფლოს პირი პასუხისმგებლობისგან. შესაბამისად, როდესაც საკასაციო ინსტანციის მიერ საქმის განხილვის მომენტისთვის ძალაშია პასუხისმგებლობის გამაუქმებელი ან შემამსუბუქებელი კანონი და მხარე არ მოითხოვს მის საფუძველზე პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას, საკასაციო ინსტანციას არ აქვს უფლებამოსილება, დაიცვას ფუნდამენტური კონსტიტუციური გარანტია - ის საკუთარი ინიციატივით ვერ გაათავისუფლებს მსჯავრდებულს პასუხისმგებლობისგან, რომელიც აღარ ეფუძნება კანონს. შესაბამისად, სადავო ნორმა წინააღმდეგობაში მოდის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნასთან, უკუძალით იქნეს გამოყენებული პასუხისმგებლობის გამაუქმებელი კანონი.

30. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტების მიხედვით, კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მე-2 წინადადების მიზნებისთვის, კანონმდებელს შეუძლია, უარი თქვას შემამსუბუქებელი კანონის გამოყენებაზე იმ განსაკუთრებულ შემთხვევაში, თუ კანონის შეცვლის მიუხედავად, ქმედების ჩადენის დროს მოქმედი კანონის გამოყენება ობიექტურად აუცილებელია კონკრეტული სამართალდარღვევისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნების მისაღწევად. თუმცა პასუხისმგებლობის გამაუქმებელი კანონის უკუძალით გამოყენების წესიდან აღნიშნული გამონაკლისი არ იძლევა მოცემულ საქმეში სადავო ნორმის კონსტიტუციურობის მტკიცების საშუალებას შემდეგი მიზეზების გამო.

31. სადავო ნორმა ბლანკეტურად ზღუდავს სასამართლოს მიერ ახალი და უფრო მსუბუქი კანონის გამოყენების შესაძლებლობას, როდესაც უშუალოდ მხარე არ მოითხოვს ამას. სადავო ნორმის მიხედვით, მსუბუქი კანონის გამოყენება-არგამოყენების საკითხი არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად შეინარჩუნა კონკრეტულმა სამართალდარღვევამ საზოგადოებრივი საშიშროება და, შესაბამისად, რამდენად არსებობს საჭიროება, რომ სამართალდარღვევის მიმართ კვლავ მოქმედებდეს ქმედების ჩადენის დროს მოქმედი უფრო მძიმე კანონი. სადავო

პროცესუალური ნორმა შემამსუბუქებელი კანონის გავრცელების საკითხს წყვეტს კონკრეტული სამართალდარღვევის შინაარსზე რაიმე მსჯელობის გარეშე, პასუხისმგებლობის მიზნებთან სრულიად დაუკავშირებელი, პროცესუალური გარემოების მიხედვით, როგორიცაა მხარის მიერ შესაბამისი მოთხოვნის დაყენება. ამასთან, ერთი მხრივ, სადავო პროცესუალური ნორმა სრულიად სხვადასხვა სიმძიმის სამართალდარღვევების მიმართ შეიძლება აღკვეთდეს შემამსუბუქებელი კანონის გამოყენებას, მეორე მხრივ კი, იწვევდეს ანალოგიურ სიტუაციებში და ანალოგიური სიმძიმის სამართალდარღვევების მიმართ განსხვავებული კანონის გამოყენებას და ამკვიდრებდეს კანონის გამოყენების არაერთგვაროვან პრაქტიკას. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სადავო ნორმის ზეგავლენით შემამსუბუქებელი კანონის გამოყენების საკითხი წყდება არა იმის მიხედვით, თუ რა წარმოადგენს კონკრეტული სამართალდარღვევისთვის ობიექტურად საჭირო და საკმარის პასუხისმგებლობას და რამდენად აუცილებელია უფრო მძიმე კანონის გამოყენება სამართალდარღვევის მიმართ. პირის უფრო მკაცრად ან უფრო მსუბუქად დასჯა დამოკიდებულია მხოლოდ პროცესუალურ გარემოებაზე, რომელიც ნორმის ბლანკეტური ხასიათის გამო საერთოდ გამორიცხავს გამოსაყენებელი კანონის შესახებ მსჯელობას და სასამართლოს აიძულებს, იმოქმედოს შემამსუბუქებელი კანონის უკუძალით გამოყენების კონსტიტუციური მოთხოვნის სრული უგულებელყოფით.

32. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მე-2 წინადადება, როგორც დამამძიმებელი კანონის უკუძალის აკრძალვის, ისე შემამსუბუქებელი კანონის უკუძალის მოთხოვნის ნაწილში არის იმპერატიული კონსტიტუციური მოთხოვნა, რომელიც არ ექვემდებარება რაიმე სხვა შეზღუდვას, გარდა იმ გამონაკლისისა, რომელიც ზემოთ იქნა განხილული და რომელიც განსახილველ შემთხვევაში რელევანტური არ არის.

33. შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ნორმა არღვევს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მე-2 წინადადებით დადგენილ სტანდარტს პასუხისმგებლობის გამაუქმებელი ან შემამსუბუქებელი კანონის გამოყენებასთან დაკავშირებით და არაკონსტიტუციურია მასთან მიმართებით.

ბ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტთან

34. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტი ითვალისწინებს განმეორებით მსჯავრდების აკრძალვის პრინციპს და აცხადებს, “არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის”. აღნიშნული

კონსტიტუციური დებულება საყოველთაოდ აღიარებული “*ne bis in idem*” პრინციპის ხორცშესხმაა, რომელიც დეკლარირებულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და ეროვნულ დოკუმენტებში, მათ შორის 1966 წლის საერთაშორისო პაქტში სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (მუხლი 14, პუნქტი 7) და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის №7 ოქმში (მუხლი 4).

35. აღნიშნული პრინციპი ერთი მხრივ იცავს ინდივიდს ერთი და იმავე ქმედების გამო განმეორებითი სისხლისსამართლებრივი დევნისა და მსჯავრდებისგან, მეორე მხრივ კი, ემსახურება სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების პროცესში მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებებით სახელმწიფო ორგანოების ბოჭვას. აღნიშნული პრინციპი სახელმწიფო ორგანოებს აკისრებს პასუხისმგებლობას სისხლისსამართლებრივი დევნის სათანადოდ განხორციელებისთვის, რადგან ხელისუფლების ორგანოები არ არიან უფლებამოსილი, წარუდგინონ პირს დამატებითი ან უფრო მძიმე ბრალდება იმ ქმედების გამო, რომლისთვისაც პირი უკვე გასამართლებული იყო. შესაბამისად, კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტი ადგენს უმნიშვნელოვანეს გარანტიას ინდივიდების ხელისუფლების თვითნებობისგან დასაცავად, რამდენადაც უზრუნველყოფს, რომ, თუ პირს ერთხელ დაეკისრება მსჯავრი და მოიხდის სასჯელს ან გამართლება კონკრეტული ქმედებისთვის, ის თავისუფალი უნდა იყოს შიშისგან, რომ ხელისუფლება იმავე ქმედების გამო კიდევ განახორციელებს მის მიმართ დევნას.

36. აღსანიშნავია, რომ განმეორებით მსჯავრდების აკრძალვის პრინციპიდან გამონაკლისს წარმოადგენს ის შემთხვევები, როდესაც ქმედების გამო სამართალწარმოება შეიძლება განახლდეს ახლად გამოვლენილი ან აღმოჩენილი მტკიცებულებების გამო ან როდესაც გამოვლინდება სამართალწარმოების მნიშვნელოვანი ხარვეზები, რასაც შეეძლო გავლენა მოეხდინა სამართალწარმოების შედეგზე და რაც მისი ხელახლა დაწყების საფუძველს ქმნის ნათელი, განჭვრეტადი და წინასწარმიღებული კანონმდებლობის საფუძველზე. თუმცა აღნიშნული გამონაკლისების გარდა, განმეორებით მსჯავრდების აკრძალვის პრინციპი აბსოლუტურ და იმპერატიულ კონსტიტუციურ ვალდებულებას წარმოადგენს. ერთი და იმავე ქმედებისთვის პირის განმეორებით მსჯავრდება წარმოადგენს პირის თავისუფლების ცალსახა უგულებელყოფას და აზრს უკარგავს სამართლებრივი სახელმწიფოს იმგვარ ფუნდამენტურ პრინციპებს, როგორიცაა სამართლის განჭვრეტადობა და კანონის გარეშე პასუხისმგებლობისა და დასჯის აკრძალვა. თუ პირს კანონით დადგენილი პასუხისმგებლობა ერთი ქმედებისთვის რამდენჯერმე შეიძლება დაეკისროს და ხელისუფლება არ იზღუდება ამ მიმართებით,

იმპერატიული მოთხოვნა, რომ პირმა წინასწარ იცოდეს, რა სასჯელი დაეკისრება კონკრეტული ქმედებისთვის და შეეძლოს საკუთარი ქცევის შესაბამისად კონტროლი, თავისთავად აზრს მოკლებული ხდება. შესაბამისად, პირის განმეორებით მსჯავრდება არის კონსტიტუციის და მისი ფუნდამენტური პრინციპების მიუღებელი და უხეში დარღვევა, რომელიც არ შეიძლება ექვემდებარებოდეს გამართლებას რაიმე ლეგიტიმური მიზნის მიღწევის საბაზით.

37. განსახილველ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლო არ დგას კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტით დაცული სფეროს ამომწურავად განმარტების საჭიროების წინაშე. განსახილველ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, რამდენად შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტს №609 კონსტიტუციური წარდგინების სადავო ნორმა, რომელიც ადგენს, რომ სააპელაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში.

38. როგორც 297-ე მუხლის “ზ” ქვეპუნქტის ანალიზისას აღინიშნა, ეს ნორმა არ ითვალისწინებს გამონაკლისს, როდესაც სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, გასცდეს აპელანტის მოთხოვნის ფარგლებს საქმის განხილვისას (გარდა იმავე საქმეზე სხვა მსჯავრდებულის მიმართ საკითხის გადაწყვეტის შემთხვევისა). ნორმის მკაფიო შინაარსი სააპელაციო სასამართლოს არ აძლევს შესაძლებლობას, საკუთარი ინიციატივით და მხარეთა მოთხოვნის გარეშე შეამოწმოს პირველი ინსტანციის სასამართლოს სადავო გადაწყვეტილება, ხომ არ არღვევს განმეორებით მსჯავრდების აკრძალვის ფუნდამენტურ კონსტიტუციურ პრინციპს და დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, გააუქმოს ან ცვლილება შეიტანოს სხვა საფუძველით გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში. შესაბამისად, სადავო ნორმა ქმნის პროცესუალურ წესრიგს, სადაც სასამართლოს არ აქვს განმეორებით მსჯავრდების აკრძალვის ფუნდამენტური და უპირობო კონსტიტუციური პრინციპის დაცვის უფლებამოსილება.

39. სასამართლოს მიერ ერთი და იმავე ქმედებისთვის განმეორებითი მსჯავრდების ძალაში დატოვება, სადავო ნორმის საფუძველზე ამ პრინციპის დარღვევას წარმოადგენს და, შესაბამისად, სადავო ნორმა არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტს.

III.

სარეზოლუციო ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და მე-2 პუნქტის, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის, 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 25-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 42-ე მუხლის, 43-ე მუხლის მე-2, მე-4, მე-7 და მე-8 პუნქტების, 44-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტით, 30-ე, 31-ე, 32-ე და 33-ე მუხლების საფუძველზე,

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

ადგენს:

1. არაკონსტიტუციურად იქნეს ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მეორე წინადადებასთან მიმართებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ N608 კონსტიტუციურ წარდგინებაში აღნიშნული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავს საკასაციო სასამართლოს შესაძლებლობას, გასცდეს საკასაციო საჩივრის ფარგლებს და პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლოს პირი იმ შემთხვევაში, როდესაც ქმედების ჩადენის შემდგომ მიღებული კანონი აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას.

2. არაკონსტიტუციურად იქნეს ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტთან მიმართებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ N609 კონსტიტუციურ წარდგინებაში აღნიშნული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავს სააპელაციო სასამართლოს შესაძლებლობას, გასცდეს სააპელაციო საჩივრის ფარგლებს იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა ერთი და იმავე დანაშაულისთვის პირის განმეორებით მსჯავრდება.

3. არაკონსტიტუციური ნორმები იურიდიულად ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი ამ გადაწყვეტილების სხდომათა დარბაზში გამოქვეყნების მომენტიდან.

4. გადაწყვეტილება ძალაშია საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომაზე მისი საჯაროდ გამოცხადების მომენტიდან.

5. გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.

6. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს მთავრობას და საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

7. გადაწყვეტილება “საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში” გამოქვეყნდეს 15 დღის ვადაში.

პლენუმის წევრები:

გიორგი პაპუაშვილი

კონსტანტინე ვარძელაშვილი

ქეთევან ერემაძე

მაია კოპალეიშვილი

ზაზა თავაძე

ოთარ სიჭინავა

ლალი ფაფიაშვილი

თამაზ ცაბუტაშვილი